საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

მმართველობის ანგარიშგება - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) კომპანიას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, კომპანიას არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

შეუქცევადი საოპერაციო იჯარები

ა) კომპანიას აქვს იჯარით გაცემული ფართები. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, იჯარები წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ქვემოთ წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულებებით მომავალში მისაღები საიჯარო შემოსავლები:

	31.12.2021	31.12.2020
1 წლამდე	139,596	255,575
1-დან 5 წლამდე	249,520	291,781
5 წელზე მეტი	821,984	-

ბ) 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს იჯარით აღებული ფართები საოპერაციო საქმიანობისთვის. იჯარები არის საოპერაციო და მათი ვადაა 1-დან 18 წლამდე. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	31.12.2021	31.12.2020
1 წლამდე	1,340,578	1,478,382
1-დან 5 წლამდე	4,862,800	5,774,399
5 წელზე მეტი	5,574,246	7,900,415

სესხებთან დაკავშირებული კოვენანტები

ა) ოპიკისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მოეთხოვება, რომ დააკმაყოფილოს კოვენანტების სახით განსაზღვრული შემდეგი მოთხოვნები:

ფინანსური კოვენანტები

- კომპანიამ მთლიანი ვალდებულებების თანაფარდობა საკუთარ კაპიტალთან (გარდა რეზერვებისა) შემცირებული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებით უნდა შეინარჩუნოს 1.5-ზე ნაკლებ ნიშნულზე;

  მთლიან ვალდებულებებში მოიაზრება ყველა ტიპის ვალდებულება, მათ შორის მიღებული სესხები, საქონლისა და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილი გადავადებული გადასახადები, საიჯარო გადასახადები გარდა ისეთი იჯარებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს.

- კომპანიამ ლიკვიდობის კოეფიციენტი უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1.2 ნიშნულზე;

  ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების თანაფარდობით მიმდინარე ვალდებულებებთან

- კომპანიამ ფულადი ნაკადების დავალიანებებთან შეფარდება უნდა შეინარჩუნოს არანაკლებ 1.5 ნიშნულზე;

  ფულადი ნაკადები მოიცავს: წმინდა მოგება + (საპროცენტო ხარჯები, ცვეთა, გადავადებული მოგების გადასახადი, სხვა არაფულადი ხარჯები) – (წმინდა მატება (+) / წმინდა კლება (-) საოპერაციო კაპიტალში) - ნებისმიერი კაპიტალური დანახარჯი.

  წმინდა მოგება ითვლება როგორც - პერიოდის წმინდა მოგება, რომელშიც არ შედის: 1. რეზერვის შემცირებით გამოწვეული მოგება; 2. მოგება, რომელიც მიიღება გრძელვადიანი აქტივების რეალიზაცია/გადაცვლიდან; 3. აქტივების ჩამოწერით მიღებული მოგება+სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგად მიღებული წმინდა მოგება, შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული მოგება.

  დავალიანებები მოიცავს მიღებული სესხების ძირისა და პროცენტების, ასევე სესხებთან დაკავშირებით არსებული გადასახდელების ჯამს.

- წლიურმა საიჯარო გადასახდელებმა არ უნდა გადააჭარბოს 1,300,000 აშშ დოლარს;

21. პირობითი ვალდებულებები და აქტივები (გაგრძელება)

- საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადასახდელმა ვალდებულებებმა არ უნდა გადააჭარბოს 500,000 აშშ დოლარს;
- არაუზრუნველყოფილმა მოკლევადიანმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა გადააჭარბოს 250,000 აშშ დოლარს;

მიღებული სესხის ხელშეკრულების თანახმად კოვენანტების მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც თავის მხრივ შესაძლოა გახდეს: ხელშეკრულების შეწყვეტის, გაცემული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის და სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის მიზეზი.

სხვა კოვენანტები

მსესხებელმა არ უნდა დააგირაოს, დაუშვას ან სხვაგვარად, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნება დართოს ამჟამად ან მომავალში ფლობილ აქტივებზე ან მათგან მიღებულ შემოსავლებზე გირაოს არსებობა, გარდა შემდეგი გირაოებისა (ერთობლივად, „ნებადართული გირაოები“):

ა) უსაფრთხოების დოკუმენტების ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შესაბამისად შექმნილი გირაოები;

ბ) გადასახადის, მექანიკოსის, მომუშავის ან სხვა გირაო რომელიც გამომდინარეობს სტანდარტული ოპერაციების განხორციელების შედეგად სავალდებულო დაბალი უზრუნველყოფის ობლიგაციების კეთილსინდისიერად მოწოდებიდან და ჯერ არ არის ვადაგასული ან დავის/ჩივილის საფუძველი.

მსესხებელმა არ უნდა:

ა) მოახდინოს ძირითადი საშუალებების რეალიზაცია, იჯარით გაცემა, გასხვისება, მათზე უფლებამოსილების გადაცემა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძირითადი საშუალებების არსებითი ნაწილის ჩანაცვლება ხდება იგივე ან უფრო მაღალი ღირებულების მქონე გრძელვადიანი აქტივებით;

ბ) მოახდინოს ლიკვიდაცია ან სხვაგვარად შეწყვიტოს საქმიანობა, ან

გ) შეერწყას ან მოახდინოს კონსოლიდაცია სხვა პირთან.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან ნაწილს, რის გამოც სესხი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულება ოპიკის მიმართ, შესაბამისად არ გააჩნია კოვენანტები მის მიმართ.

ბ) სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებულ სესხთან დაკავშირებით

2021 წლის 31 დეკემბრით სს „საქართველოს ბანკისგან“ მიღებული სესხის ერთი ტრანში ღირებულებით 4,646,400 ლარი, არის მოკლევადიანი. თუმცა 2021 წელს გაფორმებული დამატებითი შეთანხმების მიხედვით: თუ წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების დასრულების მომენტისთვის, 2022 წლის 14 მარტისთვის, სს ვენჯორჯია დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. EBITDA იქნება 1,900,000

2. DEBT გაყოფილი EBITDA-ზე იქნება არაუმეტეს 5.5

3. DSCR იქნება არანაკლებ 1.4 და ამასთანავე, სს „ვენჯორჯია“ უზრუნველყოფს საბუღალტრო სისტემის გამართვას და მარაგების და თვითღირებულების აღრიცხვის პროგრამის ბუღალტერიასთან დაერთებას.

ბანკი თანახმაა, გაუგრძელოს ვადა წინამდებარე საკრედიტო ხელშეკრულებას შემდეგი პირობით: კრედიტის მოცულობა და ვალუტა 1,500,000 აშშ დოლარი, მოქმედების ვადა გაგრძელდება 89 თვით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შესაბამისად მიღებული სესხების წარდგენაში არ მომხდარა ცვლილება.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებლის წერილი ფინანსირების შესახებ

2022 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული დამფუძნებლის წერილის მიხედვით ფინანსირების შესახებ, კომპანიის აქციონერები მზად არიან კომპანიისთვის ხელმისაწვდომი გახადონ დამატებითი ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში. ფინანსური რესურსები შესაძლებელია წარმოადგენდეს შემდეგს: შენატანი კაპიტალში, ფინანსირება სუბორდინირებული სესხების მეშვეობით და ასე შემდეგ.

სესხის გაცემა

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ შპს ვ-ჯეო რესტორნებზე გასცა სესხი 1,464,250 ლარის ოდენობით, წლიური 13.5 %-ით. გაცემული სესხის ძირი და მასზე დარიცხული პროცენტი მსესხებელმა უნდა დაფაროს არაუგვიანეს 2031 წლის 31 დეკემბრისა. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას აუნაზღაურეს 212,676 ლარის გაცემული სესხები.

სასესხო ვალდებულებების დაფარვა

2022 წლის პერიოდში კომპანიამ დაფარა 14,438,000 ლარის ღირებულების სასესხო ვალდებულება, როგორც ფინანსური ინსტიტუტების, ისე დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები.

რესტორნის დახურვა

2022 წლის იანვარში ერთ-ერთი რესტორანი (შოთა რუსთაველის გამზირი #31) დაიხურა სარემონტო სამუშაოებისთვის. ფართის მფლობელთან, სილქ როუდ ბიზნეს ცენტრთან არსებული შეთანხმების მიხედვით რესტორანი ისევ გაიხსნება სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

საინვეტიციო ქონების რეალიზაცია

2022 წლის პერიოდში კომპანიამ გაასხვისა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ქონება სრულად, საბალანსო ღირებულებით - 4,374,041 ლარი. საინვესტიციო ქონება გაიყიდა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე“. გაყიდვის ფასმა შეადგინა 4,847,249 აშშ დოლარი.

რუსეთ-უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობითაც მიმდინარეობს.

რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრამ და აღნიშნულ მოვლენაზე მსოფლიოს პასუხმა ამ საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ უკრაინის, რუსეთის, ან ბელორუსიის ტერიტორიაზე, ისევე იმათზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები). რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირებისთვის დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, შემდეგი გავლენა მოახდინოს საწარმოებზე - შეზღუდოს წვდომა მრავალ ფინანსურ რესურსზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე, რადგან სანქციები იმოქმედებს გლობალურ ფასებზე (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა ნავთობპროდუქტი).

ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია ამ ეტაპზე შეაფასოს ამ ომის ეფექტი (შესაძლო ეფექტი) კომპანიის ოპერაციებზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს არსებითი ოპერაციები უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან, რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტიანი ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ძირითადი საშუალება	
შენობები	20
ტექნიკური აღჭურვილობა	5
ავეჯი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
რესტორნის აღჭურვილობა	4-5
სხვა	2-5
არამატერიალური აქტივი	
პროგრამული უზრუნველყოფა	10
ფრანშიზის უფლება	20
რესტორნის დიზაინი	20

ძირითადი საშუალებების სარემონტო დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალური დანახარჯების კრიტერიუმებს.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. რისი შედეგის ასახვაც ხდება პერსპექტიულად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და საბალანსო ღირებულებასთან შედარება. გაუფასურების დანახარჯის აღიარება ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. კომპანია საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ კი ისტორიული ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება წრფივად. კომპანიის საინვესტიციო ქონებას (შენობა) აქვს 15 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „ფიფო“ - პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში, ღირებულებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვისაც გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2016 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში კომპანია ყველა გადასახადს იხდის ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების წარდგენილია ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

კომპანიის სხვა რეზერვები წარმოქმნილია დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული გრძელვადიანი ვალდებულებებისა და დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დისკონტირების ეფექტით. აღნიშნული ოპერაციები მიჩნეულია, როგორც დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციები.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან ან/და საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის უკან დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან

მეიჯარემ საოპერაციო იჯარიდან მიღებული საიჯარო გადახდები უნდა აღიაროს, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდით, ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით. მეიჯარემ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს სხვა სისტემატური საფუძველი, თუ იგი უფრო ადეკვატურად ასახავს საიჯარო აქტივის გამოყენებით მიღებული სარგებლის შემცირების მოდელს/სქემას.

სახელმწიფო გრანტების აღიარება

სახელმწიფო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებას საწარმოსათვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

საწარმო სახელმწიფო გრანტს აღიარებს შემდეგნაირად:

ა) გრანტი, რომელიც არ შეიცავს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, აღიარდება შემოსავალში მაშინ, როდესაც გრანტის შემოსულობები მიღებადი გახდება;

ბ) გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიმღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება; და

გ) თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი აღიარდება როგორც ვალდებულება.

საწარმო გრანტებს აფასებს მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები, რომელიც მიღებულია გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, აღიარებულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას. ასეთი გრანტები აისახება, როგორც მოგების ან ზარალის ნაწილი, ან ცალკე მუხლის სახით, ან საერთო სახელწოდებით „სხვა შემოსავალი“. ალტერნატიულად, ისინი ანგარიშგებაში გამოიქვითება შესაბამისი ხარჯებიდან.

ხარჯების აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის დროს გაწეული ხარჯები აღიარდება შესაბამისი სარგებლის აღიარების პროპორციულად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯი საოპერაციო იჯარიდან

კომპანია ქირაობს ფართებს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და თანამშრომლებისთვის გაცემული სხვა არა-ფულადი სარგებელი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ხდება თანამშრომელთა მიერ კომპანიისთვის მომსახურების გაწევა.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სს ვენჯორჯია

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე 3

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა 4

განვითარების გეგმები 5

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 5

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 6

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ 7

საკუთარი აქციების გამოსყიდვა 7

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 7

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ 7

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

სააქციო საზოგადოება ვენჯორჯია-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 23 დეკემბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული პირობების შესაძლო ეფექტი გარდა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

28 დეკემბერი 2022

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ **205145403**) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

სააქციო საზოგადოება ვენჯორჯია-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 23 დეკემბერს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული პირობების შესაძლო ეფექტი გარდა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

28 დეკემბერი 2022

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" ნევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

სააქციო საზოგადოება „ვენჯორჯია“ (შემდგომში ვენდი) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას (რეგ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 04/11/2011 წელს).

სს ,,ვენჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,751,300 (ორი მილიონ შვიდასორმოცდათერთმეტი ათას სამასი) აშშ დოლარს. საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია 2,751,300 ცალ ჩვეულებრივ აქციად. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) აშშ დოლარს.

საზოგადოების აქციონერები არიან:

- გლობალ ინვესტორზ ლიმითედ (მალტა) - 100%

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან:

- სამსონ ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე,
- ლევან ფხაკაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ალექსი სირბილაშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

სს „ვენჯორჯიას“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- სწრაფი კვების ობიექტების (რესტორნებისა და კაფეების) მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია;
- საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საცალო რეალიზაცია;
- მოძრავი ქონების იჯარით გაცემა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს ვენჯორჯია ფლობს შემდეგ მოქმედ ობიექტებს:

1. WG დოლიძე - ქ. თბილისი, დოლიძის და ბალანჩივაძის ქუჩების შუა მდებარე სკვერი;
2. WG თბილისი მოლი - ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ;
3. WG ისთ ფოინტი - ქ. თბილისი, თვალჭრელიძის 2;
4. WG გორი - ქ. გორი. ტინისხიდის მ/ტ ;
5. WG ბათუმი - ქ. ბათუმი, აბუსერიძის 22;
6. WG ვაკე - ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 37;
7. WG მე-13 - ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ;
8. WG ქუთაისი - ქ. ქუთაისი. რუსთაველის 5;
9. WG გალერია - ქ. თბილისი;
10. WG არგვეთა 1 - ზესტაფონის რაიონი სოფელი არგვეთა;
11. WG არგვეთა 2 - ზესტაფონის რაიონი სოფელი სიქთარვა;

2021 წლის ბოლოსთვის ვენჯორჯია ახორციელებდა თერთმეტი ერთეული საცალო კვების ობიექტის ოპერირებას. აქედან, ცხრა რესტორანი არის იჯარით აღებული მესამე ან დაკავშირებული მხარისგან, ხოლო WG დოლიძე და WG მე-13 წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას.

2021 წელს დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა ვენჯორჯიაში შეადგენდა 560 თანამშრომელს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 579 თანამშრომელს.

განვითარების გეგმები

2022 წლის იანვარში ერთ-ერთი რესტორანი (შოთა რუსთაველის გამზირი #31) დაიხურა სარემონტო სამუშაოებისთვის. ფართის მფლობელთან, სილქ როუდ ბიზნეს ცენტრთან არსებული შეთანხმების მიხედვით რესტორანი ისევ გაიხსნება სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით 2022 წელს ახალი რესტორნის გახსნა დაგეგმილი არ აქვს, ასევე არ გეგმავს სხვა რესტორნის დახურვას.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ვენჯორჯიას საოპერაციო მოგება ცვეთის ხარჯის გათვალისწინების გარეშე 2021 წელს შეადგენდა 10,386 ათას ლარს, ხოლო 2020 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა 45,962 ათას ლარს. მაჩვენებელში არსებითი ცვლილება გამოწვეულია „სასესხო ვალდებულების გადახდისგან გათავისუფლებით მიღებული შემოსავალის“ ცვლილებით, რომელმაც 2020 წელს შეადგინა 45,370 ათასი ლარი, ხოლო 2021 წელს 8,029 ათასი ლარი.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2021 წელს შეადგინა 0.36 ხოლო 2020 წელს 0.11-ი. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე ვალდებულებების შემცირებითა და მიმდინარე აქტივების ზრდით.

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	2021	2020
ამონაგები	31,445,499	22,604,085
სხვა შემოსავალი	713,812	919,359
სასესხო ვალდებულების გადახდისგან გათავისუფლებით მიღებული შემოსავალი	8,028,610	45,369,648
მარაგის ხარჯი	(14,818,812)	(11,064,416)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(5,961,743)	(4,882,490)
მიწოდების ხარჯები	(2,218,020)	(1,597,443)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,785,631)	(2,148,242)
იჯარის ხარჯები	(1,776,788)	(1,619,525)
როიალტის ხარჯი	(1,276,886)	(946,319)
სხვა ხარჯები	(3,749,500)	(2,820,644)
საოპერაციო მოგება	**8,600,541**	**43,814,013**
ფინანსური ხარჯი, წმინდა	(434,423)	(16,154,802)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	(25,288)	77,592
მოგება დაბეგვრამდე	**8,140,830**	**27,736,803**
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
მთლიანი სრული მოგება	**8,140,830**	**27,736,803**

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ:

	31.12.2021	31.12.2020
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	12,670,714	14,247,481
საინვესტიციო ქონება	4,374,041	4,409,454
არამატერიალური აქტივები	693,640	851,417
	17,738,395	**19,508,352**
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	2,681,109	1,640,606
გაცემული სესხები	328,406	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	798,894	896,640
ფული და ფულის ეკვივალენტები	375,908	121,053
	4,184,317	**2,658,299**
სულ აქტივები	**21,922,712**	**22,166,651**
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	3,069,683	3,069,683
დაგროვილი ზარალი	(21,417,901)	(29,558,731)
სხვა რეზერვი	8,027,205	7,908,242
	(10,321,013)	**(18,580,806)**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	20,761,805	16,070,511
	20,761,805	**16,070,511**
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,437,823	4,157,553
მიღებული სესხები	6,044,097	20,519,393
	11,481,920	**24,676,946**
სულ ვალდებულებები	**32,243,725**	**40,747,457**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**21,922,712**	**22,166,651**

სხვა ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია აგრძელებს 2019 წლის განმავლობაში დანერგილი ქართული კომპანიის „ფინას“ მიერ წარმოებული პროდუქტის იმპლემენტაციასა და გაუმჯობესებას, რითაც ერთის მხრივ ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, და მეორეს მხრივ კომპანიას აძლევს საშუალებას მომხმარებელს შესთავაზოს უნიკალური გამოცდილება რაც საბოლოო ჯამში კომპანიას უფრო ეფექტურად ფუნქციონირებაში უწყობს ხელს.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ
ვენჯორჯიას არ აქვს ფილიალები.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა
კომპანიას 2021 და 2020 წლების განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ
კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც ვენჯორჯიას გააჩნია კლიენტებისადმი. დი ენდ ბი საქართველოს მომხმარებლებს, ნორმალური საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინდარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) სეგმენტში არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგიერებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლითვის მისაღები და სასურველი იყოს ვენდისის პროდუქტების შეძენა.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე ნაკლებია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაწილი მიმდინარე ვალდებულებებისა წარმოადგენს გრძელვადიანი სესხის რეკლასიფიკაციას მოკლევადიან სესხად რომელიც აღებულია აშშ-ს საკრედიტო ინსტიტუტიდან (OPIC -- Overseas Private Investment Corporation). აღნიშნული ვალდებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის ჩახურული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლარის დოლართან გაუფასურებამ გამოიწვია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების ზრდა, რადგან სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში. მიუხედავად ამისა, ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2021 და 2020 წლებში არის დადებითი და შეადგენდა 3,244 ათას ალრსა და 147 ათას ლარს. დამატებით, კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის აზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ვადაგასული ნედლეულის თუ საქონლის ბრუნვიდან ამოღება და ჩამოწერა.
საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს დანქინის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ვენჯორჯიას ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვენჯორჯიას საბანკო სესხი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

რუსეთ-უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობითაც მიმდინარეობს.

რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრამ და აღნიშნულ მოვლენაზე მსოფლიოს პასუხმა ამ საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ უკრაინის, რუსეთის, ან ბელორუსიის ტერიტორიაზე, ისევე იმათზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები). რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირებისთვის დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, შემდეგი გავლენა მოახდინოს საწარმოებზე - შეზღუდოს წვდომა მრავალ ფინანსურ რესურსზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე, რადგან სანქციები იმოქმედებს გლობალურ ფასებზე (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა ნავთობპროდუქტი).

ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია ამ ეტაპზე შეაფასოს ამ ომის ეფექტი (შესაძლო ეფექტი) კომპანიის ოპერაციებზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს არსებითი ოპერაციები უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან, რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტი.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 28 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი	_____	გიორგი მშვილდაძე
ფინანსური დირექტორი	_____	გივი გვეტაძე

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ვენჯორჯიას ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვენჯორჯიას საბანკო სესხი არის აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

რუსეთ-უკრაინის ომი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობითაც მიმდინარეობს.

რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრამ და აღნიშნულ მოვლენაზე მსოფლიოს პასუხმა ამ საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ უკრაინის, რუსეთის, ან ბელორუსიის ტერიტორიაზე, ისევე იმათზე, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები). რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირებისთვის დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, შემდეგი გავლენა მოახდინოს საწარმოებზე - შეზღუდოს წვდომა მრავალ ფინანსურ რესურსზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე, რადგან სანქციები იმოქმედებს გლობალურ ფასებზე (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი გაზი და სხვა ნავთობპროდუქტი).

ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია ამ ეტაპზე შეაფასოს ამ ომის ეფექტი (შესაძლო ეფექტი) კომპანიის ოპერაციებზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიას არ აქვს არსებითი ოპერაციები უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ბაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან, რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტი.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 28 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი	გიორგი მშვილდაძე
ფინანსური დირექტორი	გივი გვეტაძე